

## მონიტორინგის მთავარი მიზნები

8-14 სექტემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- კვირის მთავარი თემა - ქობულეთში მომხდარი რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტი სტანდარტების დარღვევით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა P.S.-მა და ტელეკომპანია "კავკასიის" საინფორმაციო პროგრამამ "დღეს" გააშუქეს;
- აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებები

- დისკრიმინაციული ხასიათის იყო და საკითხის უმრავლესობის პრიზმიდან განხილვის მცდელობას წარმოადგენდა;
- ქსენოფობიურ გამოხატვას პოლიტიკოსის (თემურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- იდენტობის (ეთნიკური და სექსუალური) დაუსაბუთებელ მითითებას მედია საშუალებების (ტელეკომპანია "კავკასია", გაზეთი "ასავალ-დასავალი") მხრიდან ჰქონდა ადგილი;

გაგრძელება გვ. 2

## # 25, 8-14 სექტემბერი



## სამოქალაქო პლატფორმაში "არა ფოჯიას!" შემაჯავლი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება რუსთავი 2-ის გადაცემა P.S.-ის სიუჟეტთან დაკავშირებით

16 სექტემბერი, 2014

გვინდა, გამოვეხმაუროთ 14 სექტემბერს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა P.S.-ში გასულ სიუჟეტს, რომელიც 10 სექტემბერს ქობულეთში მომხდარ ვანდალურ ფაქტს შეეხებოდა, როდესაც ადგილობრივი მოქალაქეების ერთმა ჯგუფმა მუსლიმთა სასულიერო სასწავლებელთან დორი დაკლა და მისი თავი კარებზე მიამაგრა.

ჩვენი აზრით, სიუჟეტის ქარგა არათანაბარი იყო, რადგან რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენის ამ ფაქტზე სამართლებრივი და უფლებრივი თვალსაზრისით მსჯელობის ნაცვლად, პირველ ნაწილში შემოთავაზებული იყო სპეკულაციური ინტერპრეტაცია, რომელიც სოციალურ პრობლემას უმცირესობის თემატიკასთან დაუსაბუთებლად აკავშირებდა. მით უფრო შემაშფოთებელია, რომ ეს ინტერპრეტაცია არასრულწლოვანის ხარჯზე ხდება, რითაც ირღვევა ბავშვის უფლება.

გაგრძელება გვ. 11

## შინაარსი

მთავარი თემა - ქობულეთის ინციდენტი	2-4
ქსენოფობია	5
იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება	5-6
საკულტო ნაგებობების თემა	6
ანტიდასავლური განწყობები	6-7
ანტიდისკრიმინაციული კანონი	7
ჰომოფობია	8
გენდერული თემატიკა	8

## მონიტორინგის მთავარი მიგნებები


დასაწყისი გვ. 1

- ბათუმში მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის (მურმან დუმბაძის) განცხადებაში საკულტო ნაგებობის აშენების მიზანშეწონილობის საკითხი მეზობელი სახელმწიფოს - თურქეთის ინტერესებთანაა დაკავშირებული;
- ანტიდასავლური განწყობები ძირითადად უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა, რა დროსაც დამატულობის ინსპირატორად ამერიკის შეერთებული შტატები იყო წარმოჩენილი;
- ჰომოფობიურ შეფასებებს როგორც პოლიტიკოსების (ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია; მამუკა გიორგაძე, სახალხო კრება; ელიზბარ ჯაგელიძე, სახალხო კრება), ასევე მედიის (ტელეკომპანია "კავკასია", გაზეთი "ასავალ-დასავალი") მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- გენდერული სტერეოტიპების წყარო ძირითადად მედია საშუალებები (გაზეთი "ასავალ-დასავალი, სააგენტო "პირველი") იყვნენ.

## კვირის მთავარი თემა – ქობულეთის ინციდენტი

### მედია გაშუქება

10 სექტემბერს, ქალაქ ქობულეთში მომხდარი რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტი, როდესაც მართლმადიდებელი მრევლის ნაწილმა მუსლიმთა პანსიონის შენობაზე დაკლული ღორის თავი მიამაგრა, ნეგატიურ კონტექსტში 14 სექტემბერს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა "პოსტ-სკრიპტუმმა" და 10 სექტემბერს ტელეკომპანია "კავკასიამ" გააშუქეს. რუსთავი 2-ის გაშუქებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო პლატფორმაში "არა ფობიას!" შემავალმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა 16 სექტემბერს განცხადება გაავრცელეს (იხ. გვ. 1-11).



ტელეკომპანია "კავკასიის" 10 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში დარღვეული იყო ბალანსი და საერთოდ არ ყოფილა გადმოცემული მუსლიმთა პოზიცია: წარმოდგენილი კომენტარებიდან 2 მართლმადიდებლური მრევლის რესპონდენტის დისკრიმინაციული შეფასებაა, ხოლო 1 - ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის საკამათო პოზიცია, რომელიც აქცენტს არა რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტის სამართლებრივ ასპექტებზე, არამედ პანსიონის ლიცენზიის არქონაზე აკეთებდა.

ყველაზე მრავალმხრივად ინციდენტთან დაკავშირებული შეფასებები საზოგადოებრივი მაუწყებლის 10 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში იყო წარმოდგენილი,

## კვირის მთავარი თემა – ქობულეთის ინციდენტი

დასაწყისი გვ. 2

სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ინციდენტის სამართლებრივ ასპექტებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ასევე 11 სექტემბრის ტელეკომპანია "იმედის" "ქრონიკაში", სადაც სახალხო დამცველთან არსებული რელიგიურ ორგანიზაციათა საბჭოს წევრების შეფასებებიც იყო ასახული.

### ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებები

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ქობულეთის გამგებლისა და მისი მოადგილის შეფასებებში ყურადღება გამახვილებული იყო არა რელიგიური შემწყნარებლობის ფაქტზე, არამედ უმრავლესობის ინტერესებზე:

**საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 10 სექტემბერი**

**სულხან მგებელიძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:** "თავიდან ეს მოსახლეობა იქნა მოტყუებული იმიტომ რომ, როცა ეს სახლი შეიძინა ვიღაცა პიროვნებამ, თქვა, რომ ქართული ოჯახები იცხოვრებენ, შემდეგ ამ ხალხმა განაცხადა, რომ იქნება პანსიონატი."  
<http://1tv.ge/news-view/75986>

**კავკასია, ღმრს, 10 სექტემბერი**

**სულხან მგებელიძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:** "როგორც მოგეხსენებათ, პანსიონატს სჭირდება ლიცენზია, ეს ლიცენზია მათ არ გააჩნიათ. ფაქტიურად, ჩავთვალოთ, რომ ეს უკანონოდ უნდა გაიხსნას. ისინი აპირებენ 15-ში გახსნას სასწავლებლის, ასე ვთქვათ, პანსიონატის, რომელიც 7 კლასის ზემოთ უნდა იყოს, ბავშვებმა უნდა იმეცადინონ, ამიტომ ეს არის უკანონობა, პირველ რიგში. უნდა ჰქონდეთ, პირველ რიგში, მათ ლიცენზია."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408446](http://www.myvideo.ge/?video_id=2408446)

**მამსტრო, მამსტროს ცხრიანი, 10 სექტემბერი**

**ირაკლი ცმცხლაძე, ქობულეთის გამგებლის მოადგილე:** „კონსტიტუციით ეს უფლება გამტკიცებული აქვს იმ ხალხს, ვინც, მაგალითად, აქ სასწავლებლის გახსნას გეგმავს, მაგრამ ჩემთვის, როგორც გამგებლის მოადგილისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე მოსახლეობის აზრი. ანუ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და ზოგადად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლისთვის, რომ აქ არ მოხდეს მრევლს შორის დაპირისპირება.“  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408384](http://www.myvideo.ge/?video_id=2408384)


**სხვა რესპონდენტები**

**იმიდი, ქრონიკა, 11 სექტემბერი**

**ღავით შარაშენიძე, საპატრიარქო:** "რა თქმა უნდა, პროვოკაციას ჩვენ ვხედავთ 10 სექტემბერს ჩადენილ ქმედებაში, მაგრამ ვხედავთ იმაშიც, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ და ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, მოხდა ისლამური სკოლა-პანსიონის აშენება, რომლის რელიგიური დანიშნულებაც ეჭვგარეშეა."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2409105](http://www.myvideo.ge/?video_id=2409105)

**საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 12 სექტემბერი**

**თამაზ ბოვიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი ქობულეთი“:** "თურქულმა პოლიტიკამ მიაღწია საწადელს. მან შეძლო 3 ქობულეთელის დაკავება. ფაქტიურად შეურაცხყოფილი იქნა ქრისტიანული დასახლება, მთლიანად 400 ოჯახი."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2411194](http://www.myvideo.ge/?video_id=2411194)



**ირაკლი ცმცხლაძე, ქობულეთის გამგებლის მოადგილე:** „კონსტიტუციით ეს უფლება გამტკიცებული აქვს იმ ხალხს, ვინც, მაგალითად, აქ სასწავლებლის გახსნას გეგმავს, მაგრამ ჩემთვის, როგორც გამგებლის მოადგილისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე მოსახლეობის აზრი“...

გაგრძელება გვ. 4

## კვირის მთავარი თემა – ქობულეთის ინციდენტი

დასაწყისი გვ. 3

### კავკასია, ღღუს, 10 სექტემბერი

**თამაზ გომიზბერიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი ქობულეთი“:** "ეს არის მზაკ-ვრული თურქეთის პოლიტიკა. ჩვენ მუსლიმანური, ქართველი ჩვენი ძმების წინააღმდეგ არაფერი პრეტენზია არა გვაქვს. ქობულეთში არის ორი სასწავლო ცენტრი, გადაანაწილონ ბავშვები იქა და თუ აუცილებლობაა, ასწავლონ. ისტორიულად ამ ადგილას ცხოვრობენ ქრისტიანები. გასაგებია, რომ ამის შემდეგ დაიწყება მუსლიმანური წესისა და კანონის აღმსარებლობა, რაც ჩვენთვის, ჩვენი უფლებებისთვის, ანუ ადამიანის უფლებებს ეხება ეს, არის აბსოლიტურად მიუღებელი."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408446](http://www.myvideo.ge/?video_id=2408446)

### რუსთავი 2, კოსტაპრიკატივი, 14 სექტემბერი

**თამაზ გომიზბერიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი ქობულეთი“:** "ანუ ჩვენ გვაქვს საქმე თურქეთის მოქალაქესთან, თურქთან - მუსტაფა ბუიოკთან. იდეოლოგიური ბრძოლა ატომურ ბომბზე უარესია. როცა ნახავენ დასაყრდენს, აჭარა იქნება 50 წლის შემდეგ მათი საკუთრება."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2410486](http://www.myvideo.ge/?video_id=2410486)

### მაისტრო, მაისტროს ცხრიანი, 10 სექტემბერი

**შუშუნა კალაძე, ქობულეთის მცხოვრები:** „თუ ისინი მიაღწევენ თავის მიზანს, ჩვენ შევადგინებთ ხალხი ფულს, რომ ვიყიდით იმდენ ღორს, რომ ღორების ჭყვილი და ღრიალი აიღებს მთელ ქუჩას.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408384](http://www.myvideo.ge/?video_id=2408384)

### კავკასია, ღღუს, 10 სექტემბერი

**შუშუნა კალაძე, ქობულეთის მკვიდრი:** "დავკალით ღორი იმისათვის, რომ ვეღარ მოვიდნენ... ძალიან უყვართ თურმე მუსლიმანებს, ეს ბრჭყალებში, ღორი და იმდენად უყვართ, რომ ჩვენ ვიწვევთ მათ ამ ღორისაგან დამზადებულ კერძებზე. სუფრაზე ვიწვევთ და მოვიდნენ და სიამოვნებით მივართმევთ."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408446](http://www.myvideo.ge/?video_id=2408446)

### რუსთავი 2, კოსტაპრიკატივი, 14 სექტემბერი

**შუშუნა კალაძე, ქობულეთის მკვიდრი:** „აქ რომ ილოცებს მუსლიმანურად, ჩემი ბავშვი რას გაიგონებს გეკითხები?! რა უნდა ისწავლოს ამ ბავშვმა? ეს ბავშვები გარეთ, რომ გამოვლიან კონტაქტში არ იქნებიან ჩვენ ქრისტიანებთან? ხო გადაურჯულდებათ, დედი, საქართველო?.. ესენი წავიდნენ, სადაც უნდათ ილოცონ იქა.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2410486](http://www.myvideo.ge/?video_id=2410486)

### მაისტრო, მაისტროს ცხრიანი, 10 სექტემბერი

**ქობულეთის მკვიდრი:** „აქ ჩვენი მამა-პაპები. ასწლიანი ოჯახები ვართ და მაგი მოვიდა გუმინ და ჩვენ ასე ლანგარზე მივართვათ?"

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408384](http://www.myvideo.ge/?video_id=2408384)

### ქრონიკა, იმედი, 12 სექტემბერი

**ადიგენის რაიონის მცხოვრები:** „თუ ქართველ მუსლიმანებს უნდა მედრესეს გახსნა ეს უნდა თქვას ქართველმა მუსლიმანებმა და არა თურქმა.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2409382](http://www.myvideo.ge/?video_id=2409382)



## ქსენოფობია

ალია, 9 სექტემბერი

**თიმურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-**

**ერთიანი ოპოზიცია:** „...საქართველოს პარლამენტში რომ ხარ და თავმოყვარეობა გაქვს, აქ თურქ ბიზნესმენებს ფეხებს უნდა ბანდე და ხალიჩასავით ეგებოდე? აჭარაში რა ხდება ხომ ხედავთ? თურქეთში ამბობენ, აღმაშენებლის პროსპექტი ჩვენია, იქ რა ობიექტებიც არის, სულ ჩვენიაო...“

რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება სომხებსა და აზერბაიჯანელებს ბიზნესად აქვთ ქცეული. იყიდეს კლინიკები და ქართველების ჯანმრთელობა ბიზნესად

აქციეს... მენეჯერი ჰყავს თურქი, მუშაობენ ქართველი ექიმები. მსგავსი რამე რომელ ქვეყანაშია? რომელი ქართველია ასე ფუფუნებაში სხვა ქვეყანაში?..

უცხოელი რომ ხსნის იქ [სომხეთში] მაღაზიებს, არ შედიან, რათა უცხოელმა ფეხი არ მოიკიდოს... საქართველო ისე გახსნეს, ქართველებისთვის აღმოჩნდა აქ ცხოვრება რთული.“



**თიმურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია:**

„...საქართველოს პარლამენტში რომ ხარ და თავმოყვარეობა გაქვს, აქ თურქ ბიზნესმენებს ფეხებს უნდა ბანდე და ხალიჩასავით ეგებოდე? აჭარაში რა ხდება ხომ ხედავთ?“

## საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აკვირება

GEWORLD.GE, 10 სექტემბერი

**ღავით მხიკიძე, ჟურნალისტი:** "თბილისში დაწყებული დესტაბილიზაცია უმალ მოედება საქართველოს, არეულობით ისარგებლებენ ჩვენი მეზობლები და ერთნი ჯავახეთს მიიტაცებენ, მეორენი - ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს, მესამენი - აჭარა-ბათუმს, აფხაზები (ანუ რუსეთი) - სამეგრელო-ზემო სვანეთს. შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები აღარავისთან ექნება, ნატოში შესვლას ხომ თავისთავად გვახარებს ბუკა და ევროკავშირის «ცოლობასაც» შეიძლება გამოვკრათ ხელი."

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6142>

## ილენტოზის დაუსაბუთებელი მითითება

კავკასია, დღეს, 9 სექტემბერი

კრიმინალური შემთხვევის - ნარკორე-ალიზატორის დაკავების გაშუქებისას, ჟურნალისტმა დაუსაბუთებლად მოახდინა პირის ეთნიკური წარმომავლობის იდენტიფიცირება, რაც სტანდარტის დარღვევას წარმოადგენს.

**კორესპონდენტი:** "როგორც თვითმხილველები ყვებიან, სამართალდამცავებმა წარმომობით აზერბაიჯანელი ფაშაევი საკუთარი საცხოვრებელი ბინიდან აიყვანეს..."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408445](http://www.myvideo.ge/?video_id=2408445)

გაგრძელება გვ. 6

## ილენტოზის დაუსაბუთებელი მითითება

დასაწყისი გვ. 5

### ასავალ-დასავალი, 8-14 სექტემბერი

ჟურნალისტი დაუსაბუთებელ მინიშნებას აკეთებს პირის სექსუალურ ორიენტაციაზე, როდესაც მას ქალის სახელით "ანჟელად" და "ქათმად" მოიხსენიებს.

**გიორგი გიბაური, გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** " ისე, ეს სააკაშვილის „მყუდრო“ - გია ცინაძე არაფრით განსხვავდება მიშას „ანჟელასაგან“ (ციხის ქათმების ექს-ბრიგადირ „ანჟელა“ მანმანინანისგან)!"

## საკულტო ნაგებობების თემა

### რუსთავი 2, პოსტკრიპტუმი, 14 სექტემბერი



#### გიორგი გიგაური, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი:

“კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი რამდენიმე წლის წინ და დღესაც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გარედან შენდებოდეს საკულტო ნაგებობები. “

**გიორგი გიგაური, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი:** „ჩამოსული არის ჩვენი მეზობელი უზარმაზარი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პირდაპირ აკეთებს განცხადებას, რომ გინდა თუ არ გინდა, ბათუმში უნდა აშენდეს აზიზიის სახელობის მეჩეთი. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი რამდენიმე წლის წინ და დღესაც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გარედან შენდებოდეს საკულტო ნაგებობები. ისტორიის ეს ნაწილი, რომელიც მე-19 საუკუნის შუა წლებს შეეხება და აზიზიის მეჩეთი ნამდვილად არსებობდა ბათუმში, ქართველებისათვის და განსაკუთრებით ქართველობის იმ ნაწილისათვის, აჭარლობისათვის, ძალიან მიუღებელია და მძიმედ გვახსოვს, ამიტომ ამ საკითხში ნუ ჩავერევით. სახელმწიფო უნდა იყოს ძალიან მტკიცე. უნდათ ქართველებს მეჩეთის აშენება?! ავაშენებთ ჩვენ თვითონ: ჩვენი ძალებით, ჩვენი ფულით, ჩვენი გონებით.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2410474](http://www.myvideo.ge/?video_id=2410474)

## ანტიდასავლური განწყობები

### GEWORLD.GE, 10 სექტემბერი

#### გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი:

„მაიდნისკენ გვიბიძგებენ. მაიდნისკენ, რომლის სცენარის ავტორები აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და, საზოგადოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არიან მოკალათებულნი; პრეზიდენტ ობამასი, რომელიც, საერთო აღიარებით, აშშ-ის ისტორიაში ყველაზე უარესი პრეზიდენტია.“

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6141>

### GEWORLD.GE, 10 სექტემბერი

**დავით მხეიძე, ჟურნალისტი:** "უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მთავარმა სცენარისტმა და სპონსორმა - აშშ-მა, ჰუმანური მოსაზრებების გამო კი არ დართო ნება უკრაინის მარიონეტ პრეზიდენტ პოროშენკოს, პუტინის სამშვიდობო გეგმას დათანხმებოდა, არამედ იმით, რომ უკრაინას ჯარი უბრალოდ «გაუთავდა»..."

გაგრძელება გვ. 7

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 6

...ერაყში ამერიკელების მიერ დამყარებულმა «დემოკრატია» ისლამური სახელმწიფო შვა, რომლის წარმომადგენლებმა ამერიკელებს მათი ჟურნალისტების მოკვეთილი თავები უკვე გაუგზავნეს და ახლა კავკასიაზე ლაშქრობით იმუქრებიან.

ჰოდა, იქნებ ახლა მაინც გაგრილდნენ ნატოს «ახალი ლიგითა» და «ოქროს ბარათებით» გაცხელებული თავები?.. ერაყიდან ისლამისტების აგრესიის შემთხვევაში ისევ რუსეთი თუ დაგვიცავს, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი ტერიტორიის - ჩრდილოეთ კავკასიის დაცვა მოუწევს.”

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6142>

## ასავალ-დასავალი, 8-14 სექტემბერი

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** "დიახ, უკრაინაში ომი რუსეთსაც აწყობს და დასავლეთსაც! იმდენი სისხლი დაიღვრება და იმდენი ფული დატრიალდება, რუსეთიც იხიერებს და დასავლეთიც, მხოლოდ უკრაინა დარჩება წაგებული!"

## ანტიდისკრიმინაციული კანონი

ანტიდისკრიმინაციულ კანონზე საუბრისას მმართველი პარტიის წარმომადგენელმა საკითხი დაუკავშირა საზოგადოების შემწყნარებლურ დამოკიდებულებას რეჟისორ სერგო ფარაჯანოვის მიმართ, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა ჰომოსექსუალობის ბრალდებით დააპატიმრა.

## ასავალ-დასავალი, 8-14 სექტემბერი

**სოსო ჯაჭვლიანი, ქართული ოცნება:** "სერგო

ფარაჯანოვი ციხიდან, რომ განთავისუფლდა, საბჭოთა კავშირის არცერთმა კინოსტუდიამ სამსახურში არ მიიღო. ადგა ჩვენი სახელოვანი და ძალიან მაგარი კაცი რეზო ჩხეიძე, მოკიდა ფარაჯანოვს ხელი, ჩამიყვანა აქ და უთხრა - აი, აქ გადაიღე შენი ფილმებიო! ფარაჯანოვს მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდნენ სადადგმოს, თუ მის გვერდით იქნებოდა თანარეჟისორი და იცით, ქართველებმა ფარაჯანოვს თანარეჟისორად

გვერდით ვინ დაუყენეს? დოდო აბაშიძე! ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ არავის ვერჩოდით და ეს ყველაფერი გავლილი გვაქვს.

**ლიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** "ჰოდა, მით უმეტეს, რა საჭირო იყო მაგ კანონის მიღება?"

**სოსო ჯაჭვლიანი, „ქართული ოცნება“:** "ჰოდა, საჭირო რომ არ იყო, მეც მიმეჭირა ხელი „არაზე“, რა!"

## ჰომოფობია

**ალია, 10 სექტემბერი**

**ჯონდი ბალატიური, ბურჯანაძე-**

**ერთიანი ოპოზიცია:** „როგორ შეიძლება ხელისუფლებას საკუთარ ხალხთან კამათი გქონდეს გეიალუმების ჩატარებაზე, გარყვნილებასა და ზნეორივ საკითხებზე?.. მამაცხონებულო, დაალაგე ქვეყანა და გეიალუმებზე მერე მელაპარაკე.“

ყველამ ვიცით და რაღაც „ლიჩნი“ თუ რას ეძახიან, პირადი ურთიერთობა თუ სიმპათია ჰქონდა დუეინ ეზენჰაუერთან. ხოდა, პათოლოგიური გადახრის გამო, ეს კაცი არა, აი, თავისნაირი ადამიანების კარტოთეკა შექმნა."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2408476](http://www.myvideo.ge/?video_id=2408476)

**ოზიქტივი, ღამის სტუდია, 14 სექტემბერი**

**მამუკა გიორგაძე, სახალხო პარტია:**

"იმავე, ასე ვთქვათ, ძეგლის აღწერაში [რუს-ურბნისის კრება] წერია, დავუშვათ, დამოკიდებულება იგივე, ისეთი სენის მიმართ, როგორც არის მამათმავლობა."  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2411549](http://www.myvideo.ge/?video_id=2411549)

**ასავალ-დასავალი, 8-14 სექტემბერი**

**ლიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:**

"ედუარდ შევარდნაძე წარმოშობით იყო მამათელი, ხოლო მისი ბოროტი და აღვირახსნილი მოწაფეები, რომლებმაც ყველაზე უფრო პესიმისტური გათვლებითაც კი, 26 ათასი ქართველი მამაკაცი გააუპატიურეს - მამათმავლები!"



**ღამით აშუბარღია, წამყვანი:**

"გუვერი გომოსექსუალისტი იყო ვიცით... ხოდა, პათოლოგიური გადახრის გამო, ეს კაცი არა, აი, თავისნაირი ადამიანების კარტოთეკა შექმნა."

**ალია, 12-15 სექტემბერი**

**ელიზბარ ჯაგელიძე, სახალხო კრება:**

„...ყველაფერ გარყვნილს გვტენიან ცხვირში. „ლგბტ“ ადამიანების „პარადების“ არ იყოს.“

**საქინჯორში, 9 სექტემბერი**

"საქართველოს პედერასტებისა და ლესბოსელების პრეზიდენტი ირაკლი ვაჭარაძე"...

**კავკასია, სექტორი, 9 სექტემბერი**

**ღამით აშუბარღია, წამყვანი:** "გუვერი გომოსექსუალისტი იყო ვიცით,

<http://bit.ly/Z4UXSc>

## გენდერული თემატიკა

**ასავალ-დასავალი, 8-14 სექტემბერი**

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** "საკაშვილს, როგორც ამბობენ, ბევრი „ჩინებული გვამის“ ცოლი ჰყავს გაზახებული და ხასად დასმული, მათ შორის, ისეთების, თავი დღესაც მაგარ ბიჭებად რომ მოაქვთ!"

**პირველი, 13 სექტემბერი**

სათაური: „ცეცხლოვანი მამაკაცების ტიპები - ანუ როგორია ცეცხლის ნიშნის ძლიერი სქესი“

[http://pia.ge/show\\_internet\\_daijest\\_news.php?id=8307&lang=geo](http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=8307&lang=geo)

**პირველი, 14 სექტემბერი**

„როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, სუსტი სქესის წარმომადგენლებს მართლაც ცოტა რამ ჰყოფნით ბედნიერებისთვის.“

[http://pia.ge/show\\_yellow\\_pia\\_news.php?id=23103&lang=geo](http://pia.ge/show_yellow_pia_news.php?id=23103&lang=geo)



## განცხადება ისლამოფობიის მორიგი ფაქტის შესახებ

10 სექტემბერს ქობულეთში მომხდარი რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტთან დაკავშირებით ათმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადება გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნულია:

ბოლო პერიოდში მუსლიმთა დევნისა და შევიწროვების ფაქტებმა სისტემური ხასიათი მიიღო, რაც სახელმწიფოს მხრიდან შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე არაეფექტური და არაადეკვატური რეაგირების შედეგია.

შემაშვოთებელია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეების ქცევა, რომლებიც რელიგიური უმცირესობებისადმი ხშირად დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებენ, რაც უმცირესობების უფლებების უხემ დარღვევასა და უმრავლესობისადმი პრეფერენციულ მოპყრობაში ვლინდება.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2013 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ საქართველოს ხელისუფლების მიმართ გაცემულია რეკომენდაცია, რომ სახელმწიფომ გამოიყენოს „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპი რელიგიური შეუწყნარებლობის წინააღმდეგ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ სამართალდამცავ უწყებებს, შეისწავლონ ინციდენტთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ეფექტური და დროული რეაგირება მოახდინონ. ასევე, მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს გადაწყვეტი ზომები, რათა წერტილი დაესვას მოქალაქეების დევნას და დისკრიმინაციას რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე.

## განცხადება მანანა კობახიძის კალაღობრივ და გენდერული სტიმომოტივების შემცველ კოზიციასთან დაკავშირებით

15 სექტემბერს 13 არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება, რომელიც პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის სოციალურ ქსელებში გავრცელებულ შეფასებას შეეხებოდა. კერძოდ:

**მანანა კობახიძე:** „როცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალურ პოსტებს დაგიდებენ ვითომ კაცები, სინამდვილეში არაკაცები, ბილწსიტყვაობენ და თანაც ქალის მიმართ, აი მერე მეუღლემ ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, მერე არ გვითხრას ვინმემ კრიმინოლოგიური ვითარება დამძიმდაო, შეურაცხყოფის და ლანძღვის თემის ვალდებულება ნამდვილად არ აქვთ ადამიანებს ისე, პოლიტიკოსიც ადამიანია!“

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში აღნიშნულია:

“სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის „შუბლის გახვრეტით“ შურისძიების გამართლება განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ ძალადობისა და კრიმინალის წახალისების მცდელობას წარმოადგენს. განცხადება ამყარებს არსებულ სექსისტურ სტერეოტიპს, რომ აგრესიული და ძალადობრივი ქცევა ღირსებისა და „კაცურობის“ გამოვლინება და კულტურულად დასაშვები ქცევაა. მსგავსი შეფასებები განსაკუთრებით საშიშია ისეთ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც ხშირია ე.წ. „ღირსების დანაშაულები“.

გარდა ამისა, მანანა კობახიძის განცხადება, ქალს წარმოაჩენს, როგორც არასრულფასოვან არსებას. რომელსაც თავად არ შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და დამოკიდებულია მისი ოჯახის წევრი კაცების ქცევაზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით შემაშვოთებელია გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელის მხრიდან და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მიერ გაცხადებული გენდერული პოლიტიკის გახორციელებას, რომელიც უპირველეს ყოვლისა ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული სექსისტური, პატრიარქალური და ძალადობრივი ღირებულებების და ქცევის წესების ცვლილებაზე უნდა იყოს მიმართული.

ამასთან, იმ პირობებში, როდესაც საზოგადოება ინტერესს და საფუძვლიან შემფოთებას გამოხატავს ქვეანაში მომხდარი მკვლელობებისა და სხვა სასტიკი დანაშაულების მიმართ და ხელისუფლებას კანონიერი და ეფექტური ღონისძიებების მიღებას სთხოვს, სრულიად მიუღებელია პარლამენტის ვიცე-სპიკერის მხრიდან კრიმინალური მდგომარეობის გაუარესების საკითხზე არასერიოზული მსჯელობა, რაც არსებული პრობლემის არაღიარებას და მისი მნიშვნელობის გაუფასურების მცდელობას წარმოადგენს.

იხ. განცხადების სრული ტექსტი <http://on.fb.me/1pBlE84>

**სამოქალაქო პლატფორმაში "არა ფობიას!" შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება რუსთავი 2-ის გადაცემა P.S.-ის სიუჟეტთან დაკავშირებით**

დასაწყისი გვ. 1

სიუჟეტში იდენტიფიცირებულია მე-8 კლასის მოსწავლე, რომლის მუსლიმთა პანსიონში სწავლას ჟურნალისტი აღმზრდელი ბებების და ბაბუის სოციალური შეჭირვებით (ჟურნალისტი: "მუსლიმთა პანსიონში სწავლა უფასოა... სამჯერადი კვება... ოჯახს ფინანსურად უჭირს, მისი პანსიონში მიმაგრებაც ამიტომ გადაწყვიტეს") და არა მათი გაცნობიერებული არჩევანით ხსნის, რასაც საუბარში ბავშვის ბებია აღნიშნავს ("ჩვენი მუსლიმური სარწმუნოება რომ არის, იმას ასწავლიან სკოლაში").

სიუჟეტში დარღვეულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 47(11)-ე მუხლი, რომლის თანახმად, "აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა სოციალიზაციის პროცესს."

მაუწყებელმა ასევე დაარღვია ქცევის კოდექსის 33 (2) მუხლი, რომლის მიხედვითაც, "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას"...

ამასთანავე სიუჟეტში გამოყენებული ინციდენტის მონაწილეთა კომენტარები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მომხდარი არა ისლამოფობიის გამოვლინებაა, არამედ უწყინარი ფაქტია, რას-

აც კიდევ უფრო ამძაფრებს არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენლის დისკრიმინაციული შეფასება და საქართველოს მოქალაქე მუსლეების რელიგიური გრძნობების ხელყოფის ფაქტის უცხო ქვეყანის ინტერესებთან დაკავშირება. სიუჟეტიდან მაკაფიოდ ჩანს, რომ აღნიშნული რესპონდენტი საკითხის წინაღმდეგობრივ და დამაბნეველ კონტექსტუალიზაციას ახდენს და ზოგადი ტოლერანტული ფრაზების შემდგომ, აშკარად ქსენოფობიურ რიტორიკას ავითარებს. ჟურნალისტი ამ წინააღმდეგობას მაყურებელს ყოველგვარი კრიტიკული გააზრების გარეშე სთვავობს.

ვინაიდან ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გადაცემა P.S. საქართველოს მოქალაქე მუსლიმების აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებულ თემატიკას დისკრიმინაციულ კონტექსტში აშუქებს, რაც 29 მაისის გადაწყვეტილებით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის თვითრეგულირების ორგანომაც ნაწილობრივ გაიზიარა, მივმართავთ P.S.-ის რედაქციას:

- მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკის გაშუქებისას;
- იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა გადაღებაზე მშობლის

ან მეურვის თანხმობა, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, აწონდაწონოს ის ზიანი, რომელიც მოზარდს სიუჟეტის ეთერში გასვლით შეიძლება მიადგეს;

- კონსულტაციები გამართოს არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებთან რელიგიის საკითხების კვალიფიციურად გაშუქებასთან დაკავშირებით.

მედიის განვითარების ფონდი, MDF

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, TDI

იდენტობა

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია, GRASS

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, GYLA

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, ECMI

საფარი

